KA020174745156222

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება

№ 1-1/45 **04 / თებერვალი / 2022 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო – ემბლემა (შემდგომში - ემბლემა) თანდართული სახით.

2. ემბლემა წარმოადგენს მრგვალ ფარს, რომლის ვერცხლის ველზე გამოსახულია მეწამული ხუთჯვრიანი კომპოზიცია და ოქროს, ლაჟვარდისა და სევადის წახნაგებით შედგენილი მინერალური რესურსების სტილიზირებული გამოსახულება.

მუხლი 2

1. ემბლემის გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა) ხდება სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის.

2. ემბლემა შეიძლება გამოისახოს:

ა) სააგენტოს ვებგვერდზე;

ბ) სააგენტოს საინფორმაციო ბანერებზე, აბრებზე;

გ) სააგენტოს ბლანკზე/დოკუმენტაციაზე;

გ) სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობაზე;

დ) სააგენტოს სარგებლობაში არსებულ ავტომობილზე;

ე) სააგენტოს ბეჭდვით გამოცემებზე, ვიდეო და ფოტომასალებზე;

ვ) სარეკლამო-საინფორმაციო, სუვენირულ პროდუქციაზე და სამსახურებრივ ინვენტარზე.

3. ემბლემის სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალურ ტანსაცმელზე (უნიფორმა) გამოსახვის წესი მტკიცდება სააგენტოს უფროსის ნორმატიული აქტით - ბრძანებით.

4. საჭიროების შემთხვევაში, ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები შესაძლებელია დაზუსტდეს სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3

სააგენტო უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარებას.

მუხლი 4

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათელა თურნავა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020196238934122

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/629 **09 / თებერვალი / 2022 წ.**

საქართველოს პარლამენტთან არსებულ
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს

თქვენი 2021 წლის 17 ნოემბრის N174 კორესპონდენციის შესაბამისად, გიგზავნით ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ''საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 4 თებერვლის N1-1/45 ბრძანებას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი

ოთარი დანელია

დანართი

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო